საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/6832
11/11/2022

6832-21-2-202211111103

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №6109 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზომლეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. სუფსას ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი GPS კოორდინატები (X – 262534; Y – 4655227. X - 262293; Y - 4655170) და ტერიტორიის shp ფაილები ურთიერთშეუსაბამოა, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ საპროექტო უბნიდან დაშორების მანძილი უახლოეს სახლამდე 1 კმ-მდეა. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო უბნიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 480 მ-ით. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე, სიტუაციურ რუკაზე დატანით;
- დოკუმენტში (გვ. 4) მითითებულია, რომ „სამეურნეო-ფეკალური წყლები შეგროვდება საასენიზაციო ორმოში“. ხოლო, „მოსამზადებელი სამუშაოები და მშენებლობის ორგანიზაციის“ თავში (გვ. 13) აღნიშნულია, რომ „სამეურნეო-ფეკალური წყლებისთვის, მოეწყობა ბიო ტუალეტი, ან დასაქმებულებს მშენებელ-კონტრაქტორის მიერ ნაქირავები ან/და კერძო საკუთრებაში არსებული საოფისე-საცხოვრებელი სახლების ტუალეტები მოემსახურება“. აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ შარაშიძე



სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო